თეო ჯალაღანია, ჯიმშერ ჯობავა,
ქრისტინე ჯობავა

ხელოვნება

მოსწავლის წიგნი

I ნაწილი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

3

მესამე კლასის მოსწავლის წიგნი
I ნაწილი

ავტორები
თეო ჯალაღანია, ჯიმშერ ჯოგავა,
ქრისტინე ჯოგავა

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2018 წელს

„საქართველოს მაცნე“

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
მესამე კლასის მოსწავლის წიგნი
პირველი ნაწილი

ავტორები
თეო ჯალაღანია,ჯიმშერ ჯობავა,
ქრისტინე ჯობავა

მხატვრობა და დიზაინი
ქრისტინე ჯობავა

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
ტელ: 232 09 78, 591 34 73 77
ელ-ფოსტა: sakmacne@gmail.com
მაღალაშვილის ქ. 5, 0178, თბილისი.

© თ. ჯალაღანია, ჯ.ჯობავა
© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

გამოცემის წელი 2018

ISBN 978-9941-16-674-7

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I.

1. ერთი ზღაპრის მრავალსახეობა 6
2. ვხატავთ ხაზებით ბრიდჯეთ რაილისთან ერთად 8
3. ვხატავთ ლაქებით ჯეკსონ პოლოკთან ერთად 10
4. ვხატავთ ქალაქის ხედს რობერ დელონესთან ერთად 12
5. შემოდგომის ტყე და გუსტავ კლიმტი 14
6. ვასილი კანდინსკის წარმოსახვითი სამყარო 16
7. მარკ შაგალის სიზმარი 21
8. პაულ კლეეს ფერადოვანი ციხე-სიმაგრე 23
9. ვაკეთებთ აპლიკაციას სამკუთხედებით რუდოლფ ბაუერთან ერთად 26
10. არქიტექტორ ჰუნდერტვასერის ზღაპრული სასახლე. 27
11. შემაჯამებელი გაკვეთილი 31

თავი II.

12. არქეოლოგია — მოგზაურობა წარსულში. 34
13 ეგვიპტური პროფილები 36
14. ეგვიპტური სახლების მოდელები 38
15. ალექსანდრიის შუქურა 40
16 შუმერული საბეჭდავები 42
17. მინოსის სასახლე 44
18. ლეგენდა მინოტავრზე 46
19. დახატე კრეტელების გემი. 49
20. მოხატე კრეტული ლარნაკი 51
21. აიეტის სამეფოში 54
22. ძველი ქართული მოზაიკები 56
23. შემაჯამებელი გაკვეთილი 59

ლექსიკონი 60

გამოჩენილი ადამიანები ხელოვნების შესახებ

ცხოვრება ხანმოკლეა, ხელოვნება — მარადიული.

ჰიპოკრატე

ხელოვნება არის იმ მეცნიერებათა დედოფალი, რომლებიც მსოფლიოს მომავალ თაობებს ცოდნას გადასცემენ.

ლეონარდო და ვინჩი

ხელოვანი ზღაპრის იმ გმირს მაგონებს, რომლის ყოველი ცრემლი მარგალიტად გადაიქცეოდა ხოლმე.

ჰაინრიჰ ჰაინე

სიმახინჯე არ არსებობს. ცხოვრებაში არაფერი მინახავს მახინჯი; შუქჩრდილი და პერსპექტივა მშვენიერებას ანიჭებს ყოველი საგნის ფორმებს.

ჯონ კონსტებლი.

ხელოვნების ნაწარმოებებში მეტი მნიშვნელოვანი ფაქტები და დეტალებია, ვიდრე ისტორიულ წიგნებში.

ჩარლი ჩაპლინი

ხელოვნება არის თავგადასავალი უცნობ ქვეყანაში, რომელიც მხოლოდ იმას შეუძლია გამოიკვლიოს, ვისაც რისკისა არ ეშინია.

მარკ როტკო

ხელოვნებაა ის, რაც ქმნის სიცოცხლეს, ქმნის ინტერესს, ქმნის მნიშვნელოვნებას... და მე არ მეგულება არაფერი, რაც ისეთსავე ბედნიერებას ანიჭებს ადამიანს, როგორსაც შემოქმედებითი პროცესი.

ჰენრი ჯეიმსი

თავი I

1. ერთი ზღაპრის მრავალსახეობა

ედვარდ ერიკსენი. „ქალთევზა“

შენ, ალბათ, იცი დიდი დანიელი მწერლის, ჰანს კრისტიან ანდერსენის ზღაპრები — „თოვლის დედოფალი“, „გარეული გედები“, „ნამცეცა“, „კალის მედგარი ჯარის კაცი“, „მახინჯი იხვის ჭუკი“ და სხვები. ეს ზღაპრები ყველას უყვარს, პატარებსაც და დიდებსაც. მათი სიუჟეტების მიხედვით მრავალ ცნობილ მხატვარს აქვს შესრულებული ილუსტრაციები, გადაღებულია მხატვრული და მულტიპლიკაციური ფილმები, შექმნილია საბალეტო და თეატრალური დადგმები.

ამ სურათზე გამოსახული ქანდაკება კი ქალაქ კოპენჰაგენის სიმბოლოდ ითვლება. სწორედ აქ, დიდი მეზღაპრის სამშობლოში, მოსიყვარულე და კეთილი ქალთევზას ისტორია ხომ განსაკუთრებით ცოცხლად გვეჩვენება.

? დააკვირდი პატარა ქალთევზას გამოსახულებებს. ყოველი მათგანი ხელოვნების სხვადასხვა დარგს განეკუთვნება. შეგიძლია დაასახელო ეს დარგები? როგორ უნდა მიხვდე ამას? სახვითი ხელოვნების რომელ დარგებს იცნობ?



მარი კრამერი. „ქალთევზა“

მარი კრამერი. „ქალთევზა“

დახატე ილუსტრაცია ზღაპრისთვის „ქალთევზა“. მოიფიქრე, რომელ მომენტს დახატავ და ვინ იქნება სურათზე გამოსახული, მაგალითად, შეგიძლია დახატო ქალთევზა და მისი მეგობრები, პრინცი ან ბოროტი ჯადოქარი. მნიშვნელოვანია ისიც, თუ სად ხდება მოქმედება: წყალქვეშა სამყაროში, ზღვაში, სადაც გემი მიცურავს, ზღვის სანაპიროზე თუ პრინცის სასახლეში. მოიფიქრე საინტერესო დეტალები, მაგალითად, თევზები, წყალმცენარეები, ნიჟარები.

თავდაპირველად შეასრულე ჩანახატი გრაფიტის ფანქრით, შემდეგ კი შეაფერადე ნახატი პასტელებით ან ფერადი ფანქრებით.

2. ვხატავთ ხაზებით ბრიდჯით რაილისთან ერთად

შენ უკვე იცი, რომ გამოსახვის მრავალი საშუალება არსებობს. მათ შორისაა ხაზი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი მხატვრული საშუალებაა: მისი მეშვეობით ხელოვანს შეუძლია გამოხატოს მხიარული ან მშვიდი განწყობა, სწრაფი, მოუსვენარი მოძრაობა ან გარინდული უძრაობა, შექმნას ამოზნექილი ან ჩაზნექილი მოცულობების შთაბეჭდილება. სწორედ ასეთ შეგრძნებებს ბადებს ცნობილი ბრიტანელი მხატვრის, ბრიდჯით რაილის ნამუშევრები, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს სურათი მხოლოდ ფერადი და შავ-თეთრი ხაზებითაა შექმნილი.

რას ხედავ, რას ამჩნევ და რას გრძნობ ბრიდჯით რაილის ამ ნაწარმოებების დათვალიერებისას? რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისაგან? რა შეგრძნებას წარმოქმნიან ეს ხაზები? იქმნება თუ არა მოცულობის შთაბეჭდილება? მოძრაობის შთაბეჭდილება? როგორ გგონია, რითია ეს სურათები საინტერესო? ისაუბრეთ ამის შესახებ კლასში.



ბრიდჯით რაილი. „საღამოს ნათება“

ბრიდჯით რაილი. „საღამოს ნათება“



ბრიდჯით რაილი. „საღამოს ნათება“



ბრიდჯით რაილი. „საღამოს ნათება“

დახატე ნამუშევარი ბრიდჯით რაილის სტილით.

დაათვალიერე ქვემოთ მოცემული ნახატები და შეეცადე, თანმიმდევრულად შეასრულო მსგავსი მოქმედებები.

არ არის აუცილებელი, ზუსტად გაიმეორო ყველაფერი, შეგიძლია, მოიფიქრო საკუთარი ვარიანტი.

შენ დაგჭირდება სახატავი ქაღალდი, უბრალო ფანქარი, საშლელი, სახაზავი, ფლომასტერები.

1. აღნიშნე შუაში წერტილი და გაავლე ზედ სწორი ხაზები. მიღებულ სამკუთხედებში, ერთის გამოტოვებით, ჩახატე ოთხი ამოზნექილი რკალი და შეაფერადე, რომ გამოვიდეს ორ-ორი ფერადი რკალი.

2. დარჩენილ სამკუთხედებში ასევე ჩახატე ოთხ-ოთხი, ოღონდ ჩაზნექილი რკალი და შეაფერადე. ისინი.

დაიმახსოვრე!
ბრიდჯით რაილი — თანამედროვე ბრიტანელი მხატვარი.



3. ვხატავთ ლაქებით ჯეკსონ პოლოკთან ერთად

წინა კლასებში შენ უკვე შეიტყვე, რომ გამოსახვის მრავალგვარი საშუალება არსებობს და რომ ხაზის გარდა, რომელზეც წინა გაკვეთილში ვისაუბრეთ, მხატვრები აგრეთვე ხშირად ხატავენ ლაქების მეშვეობით. ცნობილმა ამერიკელმა მხატვარმა, ჯეკსონ პოლოკმა, მაგალითად, ფერწერის ისეთი მანერა გამოიგონა, რომელიც მთლიანად ლაქების გამოყენებაზეა დამყარებული: იგი სხვადასხვა ფერის საღებავს ფუნჯით კი არ უსვამდა ტილოზე, არამედ პირდაპირ აშხეფებდა მას. ამ ფერადი შხეფებით პოლოკი ლამაზ კომპოზიციებს ქმნიდა.

? დაათვალიერე ჯეკსონ პოლოკის ნამუშევრები. როგორი ფერები იხმარა მხატვარმა? როგორ შეგრძნებებს ბადებს ეს სურათები? რამეს ხომ არ გაგონებს ისინი? ესაუბრე თანაკლასელებს ამ ნაწარმოებების შესახებ, აღწერეთ, რა გრძნობებს და შთაბეჭდილებებს წარმოქმნის ისინი.



შეასრულე ნამუშევარი ჯეკსონ პოლოკის სტილით.

შენ დაგჭირდება სახატავი ქაღალდი, გუაშის საღებავები, ფუნჯი, წყლიანი ჭურჭელი და ცელოფანის ნაჭერი ან პატარა ლანგარი, რომ სამუშაო ადგილი არ დაისვაროს.

მოიფიქრე, რას გინდა, რომ მოგაგონებდეს შენი ნამუშევარი: ზღვას, ყვავილებიან მდელოს, უდაბნოს, შემოდგომის ტყეს, ვარსკვლავებიან ღამეს და ა.შ. შეარჩიე შესაფერისი ფერები და დააშხეფე ისინი ფურცელზე. როდესაც ერთი ფენა შეშრება, შეგიძლია დაამატო სხვა ფერის ლაქები და ხაზები.

შეგიძლიათ აგრეთვე დაიყოთ ჯგუფებად და იმუშაოთ დიდ ფორმატზე.

გამოფინეთ ნამუშევრები კლასში და ისაუბრეთ იმაზე, თუ რას მოგაგონებთ ეს ნამუშევრები და რა შთაბეჭდილების შექმნა გინდოდათ, რომელი ნამუშევრები მოგწონთ ყველაზე მეტად და რატომ.

დაიმახსოვრე!
ჯეკსონ პოლოკი — XX ს-ის ამერიკელი მხატვარი.

4. ვხატავთ გეომეტრიული ფიგურებით რობერ დელონესთან ერთად

წინა კლასებში შენ უკვე სცადე გეომეტრიული ფიგურებით ხატვა. იცი, რომ ამ ხერხს ზოგჯერ ნამდვილი ფერმწერებიც იყენებენ? შეხედე, მაგალითად, ცნობილი ფრანგი მხატვრის, რობერ დელონეს ნამუშევრებს: გამოსახულებები აქ ფერადოვანი წრეების ორნამენტშია ჩაქსოვილი, თითქოს ავტორი მათ სათამაშო კალეიდოსკოპის ფერადი მინების მიღმა ხედავს.

დაიმახსოვრე!
რობერ დელონე — XX ს-ის ფრანგი მხატვარი.
ეიფელის კოშკი — ცნობილი არქიტექტურული ძეგლი, ქალაქ პარიზის სიმბოლო.

რობერ დელონე „ეძღვნება ბლერიოს“

იცი, სად მდებარეობს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაგებობა — ეიფელის კოშკი? სწორია, პარიზში. თავიდან იგი რადიოანძის როლს ასრულებდა, ისევე, როგორც თბილისში — მთაწმინდის ტელეანძა. ახლა კი დააკვირდი: თუ ხედავ ამ ნამუშევრებზე ეიფელის კოშკს? სადაა იგი გამოსახული? შეგვიძლია ამ დეტალის მიხედვით მივხვდეთ, რა დახატა მხატვარმა?

რობერ დელონე „პარიზი“

რობერ დელონე „რიტმი. სიცოცხლის სიხარული“

გამოიყენე დელონეს მეთოდი და დახატე თბილისი გეომეტრიული სხეულებით.

შენ დაგჭირდება სახატავი ქაღალდი, გრაფიტის ფანქარი, საშლელი, პასტელები ან ფერადი ფანქრები და მრგვალი საგნები: მონეტები, თავსახურები ან სხვა რამ.

1. ფანქრის მრგვალ საგნებზე შემოვლებით დახატე სხვადასხვა ზომის წრეები.
2. შეაფერადე ისინი პასტელებით ან ფერადი ფანქრებით.
3. დააკვირდი მთაწმინდის ტელეანძის ფოტოს, მერე კი გამოსახე იგი შენი ნახატის ზედა მარჯვენა კუთხეში.



5. შემოდგომის ტყე და გუსტავ კლიმტი

გუსტავ კლიმტი. „არყის ხეების ტყე“

როგორც ხედავ, ცნობილი მხატვრების შემოქმედებით მემკვიდრეობაში გამოსახვის მრავალი, ზოგჯერ მეტად ორიგინალური ხერხებიც გვხვდება. უამრავ ფერწერულ და დეკორატიულ ხერხებს იყენებდა ამ სურათის ავტორი, სახელგანთქმული ავსტრიელი მხატვარი, გუსტავ კლიმტიც, მაგალითად, ზოგჯერ მის სურათებზე ზეთის საღებავის მსუყე მონასმები იქვე ჩაწებებულ თხელ ოქროს ფირფიტების გვერდითაა განლაგებული.

კლიმტის ამ პეიზაჟზე შემოდგომის ტყეა გამოსახული. სიტყვა „პეიზაჟი“ ბუნების ხედს ნიშნავს. შენ უკვე იცი, რომ ხელოვნების ნაწარმოებში მრავალი სხვადასხვანაირი და მრავალფეროვანი რამ შეიძლება გამოისახოს. იმის მიხედვით, თუ რა შეარჩია გამოსახატავად მხატვარმა, მისი სურათი სხვადასხვა ჟანრს მიეკუთვნება. მაგალითად, ნატურმორტზე ყვავილები, ჭურჭელი და სხვა უსულო საგნები გამოისახება, ხოლო პორტრეტზე — ადამიანი .

გაიხედე ფანჯარაში: ჩვენთანაც შემოდგომა დგას. შენც შეგიძლია დახატო შემოდგომის პეიზაჟი კლიმტის სტილით.

დაიმახსოვრე!
გუსტავ კლიმტი — XX ს-ის ავსტრიელი მხატვარი.
პეიზაჟი - ნაწარმოები, რომელიც ბუნების ხედს გამოსახავს
ნატურმორტი - ნაწარმოები, რომელზეც უსულო საგნებია გამოსახული.
პორტრეტი - ნაწარმოები, რომელზეც ერთი ან რამდენიმე ადამიანია გამოსახული.

გუსტავ კლიმტი. „მზესუმზირები“ **გუსტავ კლიმტი. „ოქროს ტყე“**

დააკვირდი კლიმტის ნაწარმოებებს და აღწერე, რა ფერებს ხმარობს მხატვარი.

დახატე შემოდგომის ტყე გუსტავ კლიმტის სტილით

გახსოვდეს, რომ მოცემული ნიმუში მხოლოდ მაგალითია და მისი ზუსტად გამეორება აუცილებელი არ არის.

საჭირო მასალები: სახატავი ფურცელი, გუაშის საღებავები, სხვადასხვა სიგანის წებოვანი ლენტები, ფუნჯი და წყლიანი ჭურჭელი.

1, 2. დაამაგრე ფურცელზე სხვადასხვა სიგანის წებოვანი ლენტის რამდენიმე ზოლი: წინ უფრო განიერი, უკან უფრო ვიწრო.

3, 4.სურათის ზედა ნაწილი დაფარე ცისფერი აკვარელით, ქვედა — ღია მოყავისფროთი.

5.ყველაზე ზედა ნაწილი ლენტის ზოლებს შორის დაფარე მწვანე, ყავისფერი, ყვითელი და ნარინჯისფერი მონასმებით, რაც ფოთლების შთაბეჭდილებას შექმნის.

6.ფუნჯით ან ჯაგრისით დააშხეფეთ მიწის არეზე ღია ყავისფერი, ყვითელი და მოწითალი შხეფები.

7, 8. ფრთხილად ააძრე ნახატს ლენტები.

9. შეღებე ღეროები ღია ნაცრისფრად.

10. მარცხნიდან ღეროებს მიახატე ნაცრისფერი ჩრდილები.

11.წვრილი ფუნჯით დაახატე ხეების ღეროებს შავი, მოკლე ზოლები.

12, 13. მზა ნამუშევრები გამოფინეთ კლასში და ისაუბრეთ მათ შესახებ გახსოვდეთ, რომ საუბარი მეგობრული და საქმიანი უნდა იყოს.

12, 13. მზა ნამუშევრები გამოფინეთ კლასში და ისაუბრეთ მათ შესახებ გახსოვდეთ, რომ საუბარი მეგობრული და საქმიანი უნდა იყოს.

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

11

12

13

6. ვასილი კანდინსკის წარმოსახვითი სამყარო

გავეცნოთ კიდევ ერთ მხატვარს, ვასილი კანდინსკის, რომელიც თავის შემოქმედებაში ხშირად იყენებდა გეომეტრიულ ფორმებს. შენ უკვე იცი, რომ „აბსტრაქტული“, ანუ „უსაგნო“ ეწოდება ისეთ ნაწარმოებებს, სადაც არ არის გამოსახული ნამდვილი საგნები. კანდინსკი თავდაპირველად ხატავდა ადამიანს და გარემოს ისე, როგორც ხედავდა, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, რომ ეს არ არის საჭირო და გრძნობების და აზრების გამოხატვა პირდაპირ ფერებით, ლაქებით და ხაზებითაც შეიძლება.

როგორ გგონია, სწორი იყო თუ არა კანდინსკი? შეხედე მის ნამუშევარს „ფერადი კვადრატები კონცენტრიული წრეებით“. როგორი ფორმები და როგორი ფერები გამოიყენა მხატვარმა? როგორ განწყობას ქმნის სურათი? იწვევს თუ არა იგი რაიმე შეგრძნებებს — მხიარულია იგი თუ მშვიდი, მოწყენილი თუ ხალისიანი, მოძრავი, მოუსვენარი თუ წყნარი? მიუთითე ძირითადი და შედგენილი ფერები.

შექმენი საკუთარი ნამუშევარი კანდინსკის სტილით.

ამისთვის დაგჭირდება სახატავი ფურცელი, გრაფიტის ფანქარი, საშლელი, ფუნჯი, გუაშის საღებავები და წყლიანი ჭურჭელი.

შეასრულე მოსამზადებელი სამუშაო: ჩახატე ფანქრით კვადრატებში წრეები და შეაფერადე ისინი.



შემდეგ შეასრულე ძირითადი დავალება: დახატე ხის ღერო და ფოთლების მაგივრად მიახ-ატე მას „კანდინსკისეული“ ფერადი წრეები.

თუ სურვილი გაქვს, შეგიძლია შეასრულო ეს ნამუშევარი ფერადი ქაღალდებით, აპლიკაციის ტექნიკით. ამისთვის დაგჭირდება ფერადი ქაღალდები, მაკრატელი და წებო.

შეგიძლია გამოიყენო ბუნებრივი მასალები: მაგ. გამოსახო „კანდინსკის წრეები” ბრტყელ ქვებზე.





დაიმახსოვრე!
ვასილი კანდინსკი — XX ს-ის გერმანიაში მოღვაწე რუსი მხატვარი.

7. მარკ შაგალის სიზმრები

გინახავს ლამაზი, ფერადი სიზმრები, სადაც უცნაური და საინტერესო ამბები ხდება? სწორედ ასეთ ისტორიებს ვხედავთ საფრანგეთში მოღვაწე სახელგანთქმული მხატვრის, მარკ შაგალის სურათებზე: ადამიანები ბედნიერებისაგან ჰაერში დაფრინავენ, სადღაც მიქრიან ფრთოსანი ცხენები, საყვირებზე უკრავენ ცისფერი ანგელოზები, დაფარფატებენ ზღაპრული ჩიტები... და ეს ყველაფერი ხასხასა, ცოცხალი ფერებითაა გადმოცემული.

მარკ შაგალი „ჯადოსნური სალამური“

მარკ შაგალი „ეძღვნება ლეონიდ მაზინს“

დაათვალიერე მარკ შაგალის ნაწარმოებები. დაუკვირდი დეტალებს. რას ხედავ აქ? რა არის აქ საოცარი და ზებუნებრივი? რომელ ფერებს ხმაროობს მხატვარი? როგორ განწყობას ბადებს ეს სურათები?

მარკ შაგალი „გასეირნება“

დახატე ნამუშევარი მარკ შაგალის სტილით.

დაათვალიერე მოსწავლეების მიერ შაგალის სტილით დახატული სურათები. შემდეგ გაიხსენე შენი ყველაზე ლამაზი, ზღაპრული სიზმარი ან ოცნებით წარმოდგენილი ამბავი. წარმოიდგინე უჩვეულო ქალაქი ან ბუნების ხედი, ფანტასტიკური არსებები და უცნაური საგნები და დახატე ეს ყველაფერი ნებისმიერი შენთვის სასურველი მასალით.

როდესაც ნამუშევრები მზად იქნება, გამოფინეთ ისინი კლასში. ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რა არის გამოსახული თქვენს სურათებზე, მოყევით სიზმრები და ისტორიები, ისაუბრეთ იმაზე, რომელმა ნამუშევარმა უფრო დაგაინტერესათ, რომელი გამოვიდა უფრო ზღაპრული და ფანტასტიკური და რატომ.

დაიმახსოვრე!
მარკ შაგალი — XX ს-ის საფრანგეთში მოღვაწე მხატვარი.

8. პაულ კლეეს ფერადოვანი ციხე-სიმაგრე

გეომეტრიულ ფორმებს ხშირად იყენებდა თავის ნამუშევრებში კიდევ ერთი სახელგანთქმული მხატვარი — შვეიცარიელი პაულ კლეე. მას ძალიან უყვარდა მოგზაურობა უცხო ქვეყნებში და მის სურათებზე ხშირად ვხედავთ თავისებურ, ორიგინალურად, უჩვეულოდ დანახული სამყაროს ხედებს: ეგვიპტეს და მდინარე ნილოსს, ტუნისის ხედებს, პალმებს, აღმოსავლურ არქიტექტურას, ზღაპრულ სასახლეებსა და ტაძრებს და ა.შ.

პაულ კლეე „სასახლე და მზე“

შეხედე ამ ნამუშევარს და ყურადღებით დააკვირდი დეტალებს. რა შეგიძლია აქ დაინახო?

დახატე ზღაპრული სასახლე პაულ კლეეს სტილით.

არ არის აუცილებელი, ზუსტად გაიმეორო მოცემული ნიმუში, დახატე საკუთარი გემოვნებითა და ფანტაზიით.

შენ დაგჭირდება სახატავი ქაღალდი, უბრალო ფანქარი, საშლელი და შავი ფლომასტერი. შესაფერადებლად შეგიძლია გამოიყენო ნებისმიერი სასურველი მასალა: პასტელები, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

1. დახატე უბრალო ფანქრით გეომეტრიული ფორმებისაგან შემდგარი

ნაგებობა.
2. შემოავლე კონტურებს შავი ფლომასტერი.
3. პასტელებით ან ფერადი ფანქრებით შეაფერადე ყველა გეომეტრიული ფორმა.
 როდესაც ნამუშევრები მზად იქნება, გამოფინეთ ისინი კლასში და ისაუბრეთ მათ შესახებ. აღნიშნეთ, როგორი ფორმები და ფერებია გამოყენებული, როგორ განწყობას გადმოსცემენ ისინი, რომელი ნახატები უფრო მოგწონთ და რატომ.









დაიმახსოვრე!
პაულ კლეე — XX ს-ის შვეიცარიელი მხატვარი.

9. ვაკეთებთ აპლიკაციას სამკუთხედებით რუდოლფ ბაუერთან ერთად

შენ უკვე იცნობ XX საუკუნის სახელგანთქმულ მხატვრებს, რომლებიც უსაგნო, ანუ აბსტრაქტულ ნაწარმოებებს ქმნიდნენ და ხშირად იყენებდნენ ამისთვის გეომეტრიულ ფორმებს — კლეეს, კანდიდნსკის, დელონეს და სხვებს. მათთან ერთად ამ სტილით მუშაობდა კიდევ ერთი ცნობილი ხელოვანი — გერმანელი მხატვარი რუდოლფ ბაუერი.

რუდოლფ ბაუერი. „სამკუთხედები"

დააკვირდი რუდოლფ ბაუერის ნაწარმოებებს. რა ფორმებს და რა ფერებს იყენებს მხატვარი? როგორ გგონია, როგორ შეგრძნებებს ბადებს ისინი: მოძრავს, მოუსვენარს, მკვეთრს თუ მშვიდს, დაწყნარებულს თუ უძრავს?

რუდოლფ ბაუერი. „წითელი ნივთი" (ფრაგმენტი)

რუდოლფ ბაუერი. „ტრიპტიქის სიმფონია: მესამე მოძრაობა"

დაიმახსოვრე!
რუდოლფ ბაუერი — XX ს-ის გერმანელი მხატვარი.

გააკეთე აპლიკაცია
რუდოლფ ბაუერის სტილით

შენ უკვე იცი, რა არის აპლიკაცია და გიმუშავია ამ ტექნიკით.

შენ დაგჭირდება ჭრელი ქაღალდის ფურცლები: (ძველი ნახატები, ჟურნალები, და სხვ.), მაკრატელი, წებო და ფუნჯი ან წებოს ფანქარი, სქელი მუყაოს ნაჭერი და თეთრი ქაღალდი.

შეაგროვე სხვადასხვა ფერის ფურცლები და დაჭერი ისინი სხვადასხვანაირ სამკუთხედებად.

დააწებე მუყაოზე თეთრი ქაღალდი (ან შეღებე იგი თეთრად). როცა იგი გაშრება, თანაბრად გაანაწილე და დააწებე ზედ ფერადი სამკუთხედები.

10. არქიტექტორ ჰუნდერტვასერის ზღაპრული სასახლეები

შენ უკვე იცი, რა არის ეკოლოგია და რომ ზოგიერთი ხელოვანი ცდილობს, თავისი შემოქმედებით ხელი შეუწყოს გარემოს დაცვას. ასეთი იდეა ჰქონდა ავსტრიელ არქიტექტორსა და მხატვარს, ფრიდენსრაიხ ჰუნდერტვასერს.

მას ძალიან აღელვებდა ეკოლოგიური პრობლემები და იგი თვლიდა, რომ ხელოვნებას შეუძლია გარემოსა და ადამიანის შველა: ამისთვის ჩვენ უნდა ვიცხოვროთ არა უსახურ და უფერულ ერთნაირ, კოლოფისმაგვარ სახლებში, არამედ ფერადოვან შენობებში უჩვეულო, ზღაპრული ფორმებით, რომლებზეც ბალახი და ბუჩქები იზრდება. ასეთ შენობებს „მწვანე არქიტექტურას“ უწოდებენ.

მოგწონს ჰუნდერტვასერის შემოქმედება? მოგინდებოდა ასეთ სახლში ცხოვრება? როგორ გგონია, რა განწყობაზე აყენებს ადამიანს ასეთი სახლი? როგორ გგონია, რატომ უწოდებენ ასეთ არქიტექტურას „მწვანეს“?

დაიმახსოვრე!
ფრიდენსრაიხ ჰუნდერტვასერი — XX ს-ის ავსტრიელი არქიტექტორი და მხატვარი.



დახატე ფრიდენსრაიხ ჰუნდერტ-ვასერის სტილის სახლის შენებური ვარიანტი.

ამისთვის დაგჭირდება სახატავი ფურცელი, გრაფიტის ფანქარი, შავი ფლომასტერი, საშლელი, ფუნჯი, გუაშის საღებავები და წყლიანი ჭურჭელი.

1. დააკვირდი დეტალებს: ბოლქვისებურ, სპირალურ, ოვალურ ფორმებს და ჩაიხატე ისინი უბრალო ფანქრით.
2. ფანქრით დახატე „ჰუნდერტვასერის სახლის“ მონახაზი.
3. შეაფერადე ნახატი აკვარელის ან გუაშის საღებავებით. იმუშავე ფრთხილად: შეეცადე, არ დაარღვიო ფორმის კონტურები.
4. ფრთხილად შემოავლე ყველა ფორმის



კონტურს შავი ფლომასტერი ან წვრილი ფუნჯი შავი საღებავით.

როდესაც ნამუშევრები გაშრება, გამოფინეთ ისინი კლასში. ისაუბრეთ იმაზე, თუ რამდენად შეძელით ჰუნდერტვასერისაგან მიღებული შთაბეჭდილების გამოხატვა, რას დაამატებდით ან მოაკლებდით თქვენს სურათებს, მოგწონთ თუ არა ჰუნდერტვასერის იდეები და რატომ.

11. შემაჯამებელი გაკვეთილი

ამ თავში შენ გაეცანი შემდეგ საკითხებს:

1. განამტკიცე შენი ცოდნა ხელოვნების დარგების შესახებ.
2. გაეცანი თანამედროვე მხატვრების — ბრიდჯით რაილის, ჯეკსონ პოლოკის, რობერ დელონეს, გუსტავ კლიმტის, ვასილი კანდინსკის, მარკ შაგალის, პოლ კლეეს, რუდოლფ ბაუერის და ფრიდენსრაიხ ჰუნ-დერტვასერის შემოქმედებას.
3. გააღრმავე შენი ცოდნა მხატვრული გამომსახველობის საშუალებების — ხაზის, ფერის, ლაქის შესახებ.
4. გააღრმავე შენი ცოდნა გეომეტრიული ფიგურებით ხატვის სფეროში.
5. განიმტკიცე სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით მუშაობის უნარ-ჩვევები.

შეაფასე შენი ცოდნა

რა ვისწავლე	რამ დამაინტერესა	კიდევ რა მინდა ვიცოდე და გავაკეთო